საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

ი.მ „მორისი ხიზანაშვილი"-ს

სკრინინგის განცხადება

ი.მ „მორისი ხიზანაშვილი" გეგმავს ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობას. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის, ასევე ამავე კოდექსის II დანართის 6.3. შესაბამისად, დაგეგმილი ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურების გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

ი.მ „მორისი ხიზანაშვილი" (ს/კ43001034092, იურიდიული მისამართი: ქარელის რაიონი, სოფ. ურბნისი)-ის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა დაგეგმილია ქარელის რაიონი, სოფ. ურბნისში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე(ს/კ 68.16.41.112, GPS კოორდინატები X - 415420, Y - 4652340). უახლოესი დასახლებული პუნქტი აღნიშნული ტერიტორიიდან დაშორებულია 70 მეტრით. ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოხსნილია და დასაწყობებულია. ნაკვეთი ნაწილობრივ შემოფარგლულია მავთულბადით.

საწარმოს დაგეგმილი აქვს ნავთობპროდუქტების 2 საცავის მოწყობა, რომლებიც გათვალისწინებულია დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარებად გამოყენების მიზნით ბენზინისა და დიზელის საწვავისათვის. დიზელის საწვავის რეზერვუარის მოცულობა შეადგენს 28მ³-ს, ხოლო ბენზინის - 14მ³-ს. რეზერვუარები განთავსებული იქნება მიწისქვეშა ბუნკერებში, ე.წ. ბეტონის სარკოფაგებში და ყველა მხრიდან ამოფენილი იქნებიან ქვიშის ფენით, დაიფარება ანტიკოროზიული ნივთიერებით. რეზერვუარების „სასუნთქი სარქველები"-ს სიმაღლეა H=2,0მ-ს, ხოლო დიამეტრი D=0,04მ.

ტერიტორიაზე არსებობს ფარდულის ტიპის შენობა, ტუალეტი, გასახდელი, წყლის სახანძრო რეზერვუარი, ტერიტორია ნაწილობრივ დაბეტონებულია. ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისათვის იგეგმება შემდეგი სახის სამშენებლო სამუშაოების წარმოება: ტერიტორიის დარჩენილი ნაწილის დაბეტონება, საწვავის გასაცემი სვეტების მოწყობა, მოედნის გარე პერიმეტრზე არხების მოწყობა, რომელიც შეერთდება მიწისქვეშა ავზთან(სალექართან), სადაც მოხვდება საწარმოს ოპერირებისას უნებლიედ დაღვრილი საწვავი.

ავტოგასამართი სადგურის მოწყობისას მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნა ინერტული მასალების ნარჩენების სახით, ხოლო ოპერირებისას მოსალოდნელია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამის და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი იქნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე, ხოლო სალექარიდან ამოღებული ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ნებართვა.

მაქსიმალურმა წლიური წარმადობა შესაძლებელია შეადგენდეს 250000ლიტრ დიზელის საწვავს და 250000 ლიტრ ბენზინს.



№ 1604
05 02 2019
2/2

საწარმოში ცენტრალიზირებული წყალმომარაგება არ არსებობს, ამიტომ პირველ ეტაპზე სასმელი მიზნებით მოხდება წყლის შემოტანა გარე ქსელიდან და რეზერვუარში დაგროვება. იგეგმება ჭის მოწყობა, საიდანაც შეივსება სახანძრო რეზერვუარი.

ნახმარი წყლის ჩაშვება მოხდება საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად დაიცლება სპეც. ტექნიკის საშუალებით.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარში ნავთობპროდუქტების მიღებისას. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა არ გადააჭარბებს ზდკ-ის დასაშვებ ნორმას უახლოეს დასახლებულ პუნქტთან 70 მეტრიან რადიუსში.

ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი.

დაგეგმილი ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

ავტოგასამართი სადგურში დასაქმებული იქნება 3 ადამიანი.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

მშენებლობისას და ექსპლუატაციისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები გამოყენებული არ იქნება.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ ფუნქციონირებს.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცაცხლმაქრით.

დანართი:

1. საწარმოს სიტუაციური გეგმა;
2. საწარმოს საკადასტრო ნახაზი;
3. CD – 1ცალი.

პატივისცემით,

ინდ. მეწარმე მ. ხიზანაშვილი მორისი ხიზანაშვილი

T 5 99 70 80 55

დანართი1

# საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

| | | | |
|---|---|---|---|
| საკადასტრო კოდი: | 68.16.41.112 | ნაკვეთის დანიშნულება: | არასასოფლო სამეურნეო |
| განცხადების ნომერი: | 882016400508 | ფართობი: | 576 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N) |
| მომზადების თარიღი: | 30/06/2016 | | |